ხელშეკრულება №24

26.06.2023

რეპელენტით დამუშავების მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის ბატონი გიორგი კობიაშვილის სახით (შემდგომში - **სააგენტო**) და მეორეს მხრივ [illegible] (შემდგომში - **პირი**), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე: [illegible] 595-50-97-57.

მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) შესაბამისად, სათანადო საფასურის გადახდის საფუძველზე, სააგენტოს მიერ პირისათვის ცალკეული მომსახურების გაწევა.

CPV 90670000 ქვეწარმავლების დამაფრთხობელ ღონისძიებებთან დაკავშირებული მომსახურება, ხსნარებით შეწამვლა.

მუხლი 2. მომსახურების სახე და საფასური

1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სააგენტოს მიერ პირისათვის გაწეული იქნება დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი მომსახურება/მომსახურებები:
   ა) ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების დათვალიერება-შესწავლა;
   ბ) ჩასატარებელი სამუშაოების მინაარსის, სახეობების, მოცულობის და გრაფიკის განსაზღვრა, გეგმის შედგენა, გეგმაში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტისგან მიღებული ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზის გათვალისწინება და გეგმის შეთანხმება პირთან;
   გ) ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით, დამაფრთხობელებით და სხვა ქმედებებით ტერიტორიის, ან/და შენობა-ნაგებობების, ან/და სათავსოების დამუშავება;
   დ) დამუშავების პროცესში დაფიქსირებული ქვეწარმავლების დაჭერა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებების შედეგად დადგინდება და სამუშაოების გეგმაში აისახება ჩასატარებელი სამუშაოების შესაბამისი კატეგორია:
   ა)პირველი კატეგორიის სამუშაოები (ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით, სასხურებელი აპარატის საშუალებით, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურება წვრილი ჭავლით ან გამაფრქვევლით, დასაცავი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების გარშემო, წინასწარ განსაზღვრულ პერიმეტრზე) - 0,07 ლარი/1 მ² ფართობზე;
   ბ)მეორე კატეგორიის სამუშაოები (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა, სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში) - 0,5 ლარი/1 მ² ფართობზე;

გ)მესამე კატეგორიის სამუშაოები (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებამდე, წინასწარ, დასამუშავებელ ტერიტორიაზე ბალახის საფარის დადაბლება, ბუჩქების გაკაფვა, სპეციალური პრეპარატების გამოყენებით სოროების ამოქოლვა, ამ ღონისძიებების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისგან (ბალახის, ბუჩქების და სხვა) ტერიტორიის დასუფთავების გარეშე) - 1,0 ლარი/1 m^2 ფართობზე;

დ)მეოთხე კატეგორიის სამუშაოები (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება, ამ ღონისძიებების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისგან (ბალახის, ბუჩქების და სხვა) ტერიტორიის დასუფთავებით) - 1,5 ლარი/1 m^2 ფართობზე.

3. სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ქვეწარმავლების დაჭერის საფასური შეადგენს 20 ლარს ერთ დაჭერილ ქვეწარმავალზე.

4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის საერთო საფასური განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შედგენილი აქტის შესაბამისად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს (საერთო ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებში სამუშაოების კატეგორიების შესაბამისად შესრულებული ცალკეული სამუშაოების, დაჭერილი ქვეწარმავლების რაოდენობის და „მიმდინარე და სამი მომდევნო დღის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზის“) საერთო მოცულობის და ღირებულების საფუძველზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს პირისთვის ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის გაწევა.

2. პირი ვალდებულია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საფასური გადაიხადოს შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთანავე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ღირებულების საფუძველზე.

3. სააგენტო არ აგებს პასუხს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების შედეგებზე, თუ ამ მომსახურების მიწოდების პროცესში ან მომსახურების მიწოდების შემდგომ სამი დღის განმავლობაში შეიცვალა ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზის პარამეტრები და ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექის შედეგად შესუსტდა ან სრულად განეიტრალდა ჩატარებული ღონისძიებების ეფექტი.

4. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებით და წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

5. მომსახურებ(ებ)ის გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის ფორმდება აქტი, სადაც აისახება სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურებ(ებ)ი, მათი მოცულობა და საერთო საფასური, ასევე მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ფაქტი.

მუხლი 4. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მისი მოქმედება გრძელდება მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებამდე.

2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

4. სააგენტოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება პირის მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს პირს დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.

5. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სააგენტო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
ს/ნ 205 316 399, მისამართი: ქ. თბილისი,
კოტე მარჯანიშვილის ქ. # 89/24,
ტელეფონი: (+995) 32 2421424; (+995) 577 958777,
ელ.ფოსტა:info@ama.gov.ge
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22,
შემოსავლის კოდი: 743107499

გ. კობიაშვილი

პირი

ს/კ 202778805

ტ. 595-50-97-57

ს/ნ 01027009049

Giorgi Kobiashvili 01008042951
Digitally signed by Giorgi Kobiashvili
Date: 2023.06.26 14:42:26